პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოქვეყნების 37-ე წელი | № 109 (10806) | პარასკევი, 10 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ა. ზაპოტოცკის
## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. შირროკს
## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირველ მდივანს ამხანაგ ა. ნოვოტნის

ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მე-12 წლისთავთან დაკავშირებით გულითად მოლოცვასა და საუკეთესო სურვილებს გითვლით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით მთელ მოძმე ჩეხოსლოვაკ ხალხს.

ჰიტლერული უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ ჩეხოსლოვაკიამ მიიღო შესაძლებლობა თავისუფლად გამოერკვია თავისი ბედი. ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა აირჩიეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზა და თავიანთი საქმეებით ცხადყვეს, რომ ვერავინ ვერ შეძლებს გადაახვევინოს ჩეხოსლოვაკ ხალხს ამ ერთადერთი სწორი გზიდან.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ განვლილ 12 წელიწადში მშვიდობისმოყვარე და ნიჭიერმა ჩეხოსლოვაკმა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

ჩეხოსლოვაკი ხალხის შესანიშნავი მიღწევები სოციალიზმისათვის ბრძოლაში განუყოფლად დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლთან. არის რა მარქსიზმ-ლენინიზმის მუდამ ერთგული, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია წარმოადგენს ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ერთიანი ეროვნული ფრონტის სულს, ერთგულ მებრძოლს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განხორციელებისათვის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

1957 წლის 8 მაისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**კ. ვოროშილოვი**

საბჭოთა ხალხს გულწრფელად უხარია ჩეხოსლოვაკი ხალხის წარმატებანი, დიდად აფასებს ძმური მეგობრობის ურთიერთობას [illegible] ჩვენ ქვეყნებს შორის დამყარდა. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის [illegible] რადიოსო მეგობრობაა. იგი ემყარება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძირეული ინტერესების ერთიანობას, იდეებისა და მიზნების ერთიანობას სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში, ღრმა ურთიერთ პატივისცემასა და ნდობას. ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ პრინციპებს და წარმოადგენს სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობის მაგალითს.

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ნამდვილმა ძმურმა ურთიერთობამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის 1957 წლის 29 იანვრის დეკლარაციით. ეს დეკლარაცია დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში, ხელს უწყობს მთელი დიდი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის უფრო მეტად განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მეთორმეტე წლისთავის დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სახელით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას და მთელ მოძმე ჩეხოსლოვაკ ხალხს უსურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დაე, მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ურღვევი მეგობრობა საბჭოთა ხალხსა და ჩეხოსლოვაკ ხალხს შორის!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ნ. ბულგანინი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
**ნ. ხრუშჩოვი**

## ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
## ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს
## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
## ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს
## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

პატივცემულო ამხანაგებო, ნაცისტური ოკუპაციის უღლისაგან გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-12 წლისთავთან დაკავშირებით და ფაშიზმის ძალებზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების წლისთავთან დაკავშირებით, ნება გვიბოძეთ ჩეხოსლოვაკიის ხალხის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის სახელით საბრძოლო ამხანაგური სალამი გიძღვნათ თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს.

ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქის ფიქრსა და გულში სამუდამოდ დარჩება წარუხოცელი ხსოვნა 1945 წლის იმ დღეების შესახებ, რომლებმაც ჩვენს ხალხს და ევროპის მთელ რიგ სხვა დამონებულ ხალხებს მიანიჭა თავისუფლება, რაც სისხლით გამოიყიდეს საბჭოთა არმიის — განმათავისუფლებელი არმიის მამაცმა მებრძოლებმა.

მაშინ, როცა ჩვენი საზღვრების დასავლეთით გერმანელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა კვლავ წამოჰყვეს თავი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხებს უფრო ძლიერ აქვთ შეგნებული, რომ თავიანთ დამოუკიდებელ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ არსებობას ისინი უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულ ისტორიულ გამარჯვებას მეორე მსოფლიო ომში და რომ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მტკიცე და ურღვევი მეგობრობა და მოკავშირეობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტიაა.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მხურვალედ მიესალმება და მადლობით ხვდება საბჭოთა კავშირის ინიციატიურ ნაბიჯებს მის საგარეო პოლიტიკაში, რომლებიც გაფრთხილებას გვაძლევენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების და ატომური იარაღით ახალი ვერმახტის შეიარაღების მზარდი საფრთხის შესახებ. ეს ინიციატივა შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის უაღრესად ღრმა ინტერესებს, ისევე როგორც თვითონ გერმანელი ხალხის ინტერესებს. ასევე საბჭოთა მთავრობის ინიციატივა, რაც მან გამოიჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე, კვლავ დამაჯერებლად უმტკიცებს მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ საბჭოთა კავშირი საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ყველაზე თანმიმდევრული დამცველია.

ჩეხოსლოვაკიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ იმას, რომ საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა ნაცისტური ოკუპაციისაგან, აგრეთვე არასოდეს არ დაივიწყებენ იმას, რომ მან თავისი მაგალითით, თავისი უდიდესი და უანგარო დახმარებით და თავისი გამოცდილებით შესაძლებლობა მისცა მათ წარმატებით იარონ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით, რისთვისაც იბრძოდნენ და იხოცებოდნენ ჩვენი მუშათა კლასის საუკეთესო შვილები, ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დიდი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ყველა სხვა ქვეყნის განვითარება, სავსებით ადასტურებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების საყოველთაო მნიშვნელობას და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის ძირითადი გამოცდილების მნიშვნელობას ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ.

ჩეხოსლოვაკიის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალებით შეეწყოს ხელი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის იმ ურღვევი მეგობრობისა და მოკავშირეობის მუდმივ განმტკიცებასა და გაღრმავებას, რომლებიც შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს და რომლებიც განუყოფელი ნაწილია ამხანაგური ურთიერთობისა, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, რომლებიც აერთიანებენ სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანას საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

დიდება გმირ საბჭოთა ხალხს — ჩვენს განმათავისუფლებელსა და მოკავშირეს!

დაე აყვავდეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა — სამარადისო მეგობრობა!

ანტონინ ზაპოტოცკი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ვილიამ შიროკი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ანტონინ ნოვოტნი
ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

პრაღა, 1957 წლის 8 მაისი.

## ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს
## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ქ. მოსკოვი.

# სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის გზა

შვიდ მაისს გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომებზე განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილ საკითხს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. წინასწარი ცნობებით, 30 მარტიდან 4 მაისამდე საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საბჭოთა არმიის ნაწილებში და სასწავლებლებში გაიმართა 514 ათასზე მეტი კრება, რომლებსაც დაესწრო 40 მილიონ 820 ათასი მშრომელი. ზათგან ორ მილიონ სამას ათას კაცზე მეტმა შეიტანა თავისი წინადადებანი და შენიშვნები. 68 ათასზე მეტმა მუშამ, კოლმეურნემ, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწემ, პარტიულმა. საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა მუშაკმა აზრი გამოთქვა პრესაში — ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ეს ციფრები დამაჯერებლად გვიჩვენებენ საბჭოთა წყობილების ნამდვილ დემოკრატიზმსა და უღრმეს ხალხურობას, საბჭოთა წყობილებისა, რომელიც არა სიტყვით, არამედ საქმით უზრუნველყოფს მშრომელთა მილიონიანი მასების უაღრესად ფართო მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხების გადაჭრაში. „ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა, — ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვმა, — იმის კონკრეტული მაგალითია, თუ როგორ ხორციელდება კოლექტიური ხელმძღვანელობისა და ხალხთან ხელმძღვანელობის განუყოფელი კავშირის ლენინური პრინციპი, როცა პარტია და მთავრობა კომუნისტური მშენებლობის მოაწიფებული ამოცანების განხილვისას ეთათბირებიან ხალხს, რომლის კოლექტიური გონება გვეხმარება მოვნახოთ ყველაზე სწორი გადაწყვეტა“.

წელს საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს.

ამ ორმოცი წლის სახელოვანი შედეგები წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი იდეების ტრიუმფის, ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზის გამარჯვების უაღრესად მკაფიო დადასტურებას. დაიცვა რა ეს ხაზი ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ ლენინური გზიდან აეცდინათ პარტია და ჩაეშალათ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა, პარტიამ გაანადგურა ლენინიზმის მტრები, გადალახა უდიდესი სიძნელეები და გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა ფართო და ნათელ გზაზე.

საბჭოთა კავშირმა ეკონომიურ განვითარებაში გაუსწრო ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, მათ შორის ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და სამრეწველო წარმოების დონის მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. 1957 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება 30-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს და თითქმის ოთხჯერ — ომამდელი 1940 წლის დონეს. ჩვენმა სამშობლომ დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, რომლის განვითარება, პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, მტკიცედ და სწრაფად მიდის წინ. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ მაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. ჩვენ ახლა გვაქვს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზებზე ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადავჭრათ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სწორედ ამ ძირითადი ეკონომიური ამოცანის უსწრაფესად გადაწყვეტისათვის მოწოდებულია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებსაც ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განიხილავს.

პარტიას არასოდეს არ მიიჩნდა მართვის ფორმები და მეთოდები რაღაც უცვლელ, გაყინულ რამედ. სავსებით იცავს რა დემოკრატიული ცენტრალიზმისა და სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს, პარტია მუდამ სრულყოფდა ეკონომიური მშენებლობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ფორმებს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის, მიცნიერებისა და ტექნიკის განვითარების. სამეურნეო ხელმძღვანელთა კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლების გათვალისწინებით.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 200 ათასზე მეტი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო და 100 ათასზე მეტი მშენებლობა. სულ უფრო ძნელი ხდება მათი ხელმძღვანელობა ცენტრიდან, სამინისტროებიდან და უწყებებიდან, ამასთან საქმე ეხება, რა თქმა უნდა, კონკრეტულ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

იმისათვის, რომ სრულად გამოვიყენოთ ის გიგანტური შესაძლებლობები და რეზერვები, რომლებიც მეურნეობის სოციალისტურ სისტემას აქვს, უზრუნველვყოთ ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგის, და უწინარეს ყოვლისა მრეწველობის, შემდგომი მძლავრი აღმავლობა, საჭიროა მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ადგილებზე — საწარმოებთან და მშენებლობებთან უფრო ახლოს. სწორედ ამიტომ არის საჭირო დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით მართვიდან გადავიდეთ ტერიტორიული ნიშნის მიხედვით აგებულ მართვაზე. ასეთი მართვის ორგანიზაციული ფორმა უნდა გახდნენ ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები.

გამოდიან რა კამათში ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იწონებენ წინადადებას ზოგიერთი რეორგანიზებული სამინისტროს შენარჩუნების შესახებ, რომლებიც, განთავისუფლდებიან რა საწარმოების უშუალო მართვისაგან, უზრუნველყოფენ ცენტრალიზებულ კონტროლს ინდუსტრიის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარებისადმი. ამასთან ერთად დეპუტატები მხარს უჭერენ მოხსენების იმ დებულებას, რომ ყველა სამრეწველო საწარმოსა და მშენებლობას, მათ შორის დარჩენილ სამინისტროთა საწარმოებსა და მშენებლობებს უშუალოდ უნდა მართავდნენ ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები. დავძლევთ რა უწყებრივ ბარიერებს და გარდავქმნით რა მრეწველობისა და მშენებლობის მართვას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, შესაძლებლობას მივიღებთ უაღრესად ფართო მასშტაბით განვავრცოელოთ წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, უკეთ გამოვიყენოთ უდიდესი რეზერვები, რომლებიც სახალხო მეურნეობაშია.

ახორციელებენ რა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახალხო მეურნეობის განვითარებაში გეგმიანი საწყისის შემდგომ გამლიერებას, ცენტრში და ადგილებზე საგეგმო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

დასახული გარდაქმნა მოასწავებს ახალ დიდ ნაბიჯს ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, ხელს შეუწყობს მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის უფრო მეტ განვითარებას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებას, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

თვითეული რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარება შეუძლებელია, თუ სწრაფად არ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მთლიანად, რადგან საბჭოთა კავშირის ეკონომიკა წარმოადგენს ერთიანს, განუყოფელ კომპლექსს. ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რესპუბლიკურმა ორგანოებმა თავიანთ მუშაობაში მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში პირველ პლანზე უნდა დააყენონ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე საკითხები. უწინარეს ყოვლისა მათ მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. საჭიროა გაფართოვდეს რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ურთიერთობა შრომის საზოგადოებრივი განაწილების საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნას დროზე და ზუსტად შესრულება დავალებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ საერთო-სახელმწიფოებრივი სახალხო-სამეურნეო გეგმიდან.

დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში ნიშნავს ორგანულად შეავხამოთ ერთიანი, ცენტრალიზებული. გეგმიანი ხელმძღვანელობა ადგილების უაღრესად ფართო ინიციატივასთან, ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის დაუცხრომელ განვითარებასთან, მასებისა. რომლებიც საბჭოთა წყობილებამ დარაზმა სახელმწიფოს მართვაში, სახალხო მეურნეობის მართვაში უშუალო, ყოველდღიური მონაწილეობისათვის. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება გულისხმობს საბჭოებს, პროფკავშირების, კომკავშირის როლის შემდგომ გაძლიერებას სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში.

მთელი საბჭოთა ხალხი სავსებით უჭერს მხარს კომუნისტურ პარტიას, მის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც მშრომელთა ინტერესებს შეესაბამება. სოციალისტური განვითარების ლენინური გზა შემოწმებულია საბჭოთა კავშირის, დიდი ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მრავალი წლის გამოცდილებით. მხოლოდ ამ გზას მივყავართ სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელება უფრო მეტ გასაქანს მისცემს სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ ყოველმხრივ აყვავებას, კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებას. ამ გადაწყვეტილებებს მოელის მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მხურვალედ უსურვებს თავის არჩეულებს — უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს წარმატებას მათს სახელმწიფოებრივად დიდმნიშვნელოვან მოშაობაში.

„პრავდის“ 9-V მოწოდებიდან.

## ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციების შეხვედრის შესახებ

მაისის დამდეგს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა, დ. ტ. შვაერნიკმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან საუბარში მონაწილეობდა დელეგაცია გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მ. რაიმანის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მუშაობა მოძრაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის შინაპარტიული ცხოვრების ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე სხვა აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ორივე პარტიას აინტერესებს.

საუბრებმა ჩაიარა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში, სრული ურთიერთგაგებისა და ყველა განხილულ საკითხზე ორივე დელეგაციის შეხედულებათა ერთიანობის სულისკვეთებით.

## ნ. ა. ბულგანინმა და გ. კ. ჟუკოვმა მიიღეს ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია

1957 წლის 8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა კრემლში მიიღეს ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირსა და ირანს შორის საზღვრის რეჟიმის და სასაზღვრო ინციდენტების მოწესრიგების წესის შესახებ ხელშეკრულების მომავალ ხელმოწერასთან დაკავშირებით, და საუბარი ჰქონდათ მასთან.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის მეთაური კორპუსის გენერალი სენატორი ამანოლა ჯაჰანბანი და დელეგაციის წევრები: ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-2 პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ისმაილ მაჯდი, დივიზიის გენერალი გოლამ ჰოსეინ მოგტადერი, ინჟინერი იბრაჰიმ გასაბეი, პოლკოვნიკი მოჰამედ ალი ბაგერი, პოლკოვნიკი აბდულ ჰოსეინ ტეიფური, პოდპოლკოვნიკი ზოიია ნიკუბონიადი, პოლკოვნიკი იბრაჰიმ ბაჰმანპური, ნასრედინ კავუსი.

მიღებას დაესწრო აგრეთვე ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მასუდ-ანსარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო საკითხთა დელეგაციის თავმჯდომარე პ. დ. ორლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. პ. პავლოვი, საბჭოთა დელეგაციის წევრები პოლკოვნიკები ე. გ. ჟიდკოვი, ა. ა. სოკოლოვი და ე. ა. ვოლკოვი.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ჩინელ ჟურნალისტებთან

8 მაისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება და რომელსაც მეთაურობს სიუი ჯუ-ჩენი, აგრეთვე გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს“ და სინხუას საგენტოს მოსკოვში მყოფი მუდმივი კორესპონდენტები.

საუბრის მსვლელობაში, რომელიც მეგობრულ და გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, ჩინელმა ჟურნალისტებმა, გამოთქვეს რა დიდი მადლობა მოწვევისათვის ჩამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში, ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს თხოვნით ეპასუხნა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო განვითარებასთან, ისე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საუბარში, რამაც დაახლოებით ორ საათს გასტანა, უპასუხა ყველა კითხვაზე, რომლებიც ჩინელმა ჟურნალისტებმა მისცეს.

(საკდესი).

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ვ. დავიდს

პრაღა

ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მე-12 წლისთავთან დაკავშირებით, გთხოვთ, ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ ჩემი უგულითადესი მოლოცვა თქვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის გამო და გისურვებთ წარმატებას თქვენს მოღვაწეობაში, რომელიც მიმართულია ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურღვევი ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისაკენ.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხები კვლავაც ერთობლივად დაიცავენ ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დიად საქმეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო

1957 წლის 8 მაისი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ანდრია ანდრიას-ძე გრომიკოს

მოსკოვი

პატივცემულო ამხანაგო, სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მე-12 წლისთავის დღეს უაღრესად გულითად სალამსა და გულწრფელ მოლოცვას გიძღვნით თქვენ, როგორც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წარმომადგენელს, პოლიტიკისა, რომელიც დაუცხრომლად ესწრაფვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, დაძაბულობის შენელებას და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხები, რომელთაც სურთ მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ მსოფლიოს ყველა ხალხთან, კვლავაც მთლიანად და უთუოდ დაუჭერენ მხარს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის კეთილშობილურ ღონისძიებებს.

დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ხალხი ჩეხოსლოვაკიის ხალხთან, მშვიდობის ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან თანამშრომლობით მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის თავის სამართლიან ბრძოლაში შემდგომ ბრწყინვალე გამარჯვებებს მიიღწევს.

გისურვებთ, პატივცემულო ამხანაგო მინისტრო, ჯანმრთელობას და მრავალ წარმატებას თქვენს მუშაობაში.

ვაცლავ დავიდი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

## 3. ი. ლენინის თხზულებათა 24-ე ტომი თურქმენულ ენაზე

**აშხაბადი.** (საკდესი). თურქმენეთის სახელმწიფო გამომცემლობამ 10 ათასი ცალი ტირაჟით გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 24-ე ტომი თურქმენულ ენაზე. ტომში შევიდა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 8 მაისის საღამოს გაერთიანებული სხდომა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ნ. ტ. კალჩენკომ.** გრძელდებოდა განხილვა საკითხისა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

— ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი დროული და სწორია, — თქვა დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა** (საქართველოს სსრ). — ჩვენს რესპუბლიკაში ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა სრული მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

ამხ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისა და სახალხო მეურნეობის მართვაში მათი როლის ამაღლების საკითხებზე. იგი ამბობს, რომ 1955-1956 წლებში მთელი რიგი საწარმოები საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკის გამგებლობაში გადავიდა. გაუმჯობესდა მათი მუშაობა. თუ მანამდე ბევრი მათგანი რენტაბელური არ იყო და გეგმებს ვერ ასრულებდა, ახლა, როგორც წესი, ისინი დავალებებს ასრულებენ და მოგებას იძლევიან. ეს იმას მოწმობს, რომ მართვის სტრუქტურის შემდგომი გამარტივება და მრავალი საუწყებო ბარიერის მოსპობა დადებით გავლენას მოახდენს მრეწველობის მუშაობაზე.

ორატორს მიაჩნია, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სახალხო მეურნეობის საბჭოების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იმ მასალებისა და მოწყობილობის დროზე მიწოდებისათვის, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმით გამოჰყოფენ სხვა ეკონომიური რაიონების საჭიროებებისათვის.

დეპუტატმა **ი. ე. კალნბერზნიმა** (ლატვიის სსრ) ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება გვიჩვენებენ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის კონკრეტულ გზებს. ეს გზები გამომდინარეობენ მეურნეობის ხელმძღვანელობის დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპებიდან და მათი მიზანია ადგილობრივი ორგანოებისა და მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარება.

დაახასიათა რა ლატვიის ეკონომიკის განვითარება, შემდეგ დეპუტატი კალნბერზნინი ამბობს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას უნდა დაეკისროს მთელი მრეწველობის მუშაობის კოორდინაცია და ზრუნვა სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის, განსაკუთრებით ეკონომიურ რაიონებს შორის ურთიერთმიწოდებათა დარგში. არ შეიძლება დაშვებულ იქნას კუთხური ტენდენციების გამოვლინება, მისწრაფება ჩაიკეტონ თავიანთი ეკონომიური რაიონების ჩარჩოებში.

შემდეგ ამხ. კალნბერზნინი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას რესპუბლიკაში შექმნილი დისპროპორცია სწრაფად მზარდ მრეწველობასა და მის ენერგეტიკულ ბაზას შორის. დასასრულ ორატორმა კონკრეტული მაგალითებით დაასურათა, თუ რა კარგი გავლენა მოახდინა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ ეკონომიურ მშენებლობასა და მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

— მე მომიხდა მონაწილეობა მიმეღო მთელ რიგ კრებებში და მესაუბრნა ამხანაგებთან, — ამბობს მოსკოვის სახეხი ჩარხების ქარხნის ხარატი დეპუტატი **პ. ბ. ბიკოვი.** — ყოველ მათგანს კარგად ესმის, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის დასახული გარდაქმნა უფრო მეტ გასაქანს მისცემს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას და, მაშასადამე, დააჩქარებს ხალხის სანუკვარი ოცნების განხორციელებას — კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

დეპუტატი ბიკოვი მოსკოვის ოქტომბრის რაიონის საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი მაგალითით ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალიზაციასა და კოოპერირებას. ამ რაიონში არის ერთი სამინისტროს რამდენიმე მანქანათმშენებელი ქარხანა. შარშან ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით სამინისტროსთან ერთად ორ ქარხანაში შეიქმნა პლასტმასისა და რეზინის ნაწარმის წარმოების, აგრეთვე ზუსტი ფოლადსამსხმელო სპეციალიზებული საბაზო საამქროები. ამ საწარმოთა შექმნამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება, შემცირებულიყო ნაწარმის ღირებულება და გაუმჯობესებულიყო მისი ხარისხი.

დეპუტატი ბიკოვი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა საწარმოთა დირექტორების უფლებათა შემდგომი გაფართოება. სამეურნეო კადრების მნიშვნელოვანი ზრდა უკვე ახლა შესაძლებელს ხდის მიენიჭოთ მათ დამოუკიდებლობა უფრო ფართო წრის საკითხთა გადაჭრაში. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ საწარმოები განთავისუფლდნენ მეტისმეტი მეურვეობისაგან.

გზათა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. პ. ბეშჩევმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მრეწველობის მართვის არსებული სტრუქტურა ხელს არ უწყობს ეკონომიური რაიონების კომპლექსურ განვითარებას და ხშირად იწვევს ჩვენს ქვეყანაში ნორმალური სატრანსპორტო კავშირის დარღვევას. უკანასკნელ წლებში, ამბობს იგი, ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში ქვანახშირის ამოღების ჩამორჩენის გამო რკინიგზები იძულებული იყვნენ დიდი რაოდენობით და დიდ მანძილზე ეზიდათ სათბობი სამრეწველო საწარმოებისა და ელექტროსადგურებისათვის. ამის შედეგად 1956 წელს ქვანახშირის გადაზიდვის საშუალო სიშორე გადიდდა, რამაც დამატებითი სატრანსპორტო ხარჯები გამოიწვია.

ეკონომიურ რაიონებში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა და მართვის მიახლოება უშუალოდ საწარმოებთან გააძლიერებს ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას წარმოების გეგმების შესრულებისათვის, შექმნის იმის საუკეთესო პირობებს, რომ ჩვენი ქვეყნის თვითეულ ეკონომიურ რაიონში და პროდუქციის ყველა სახეობის მიხედვით უფრო თანაბრად სრულდებოდეს სახელმწიფო გეგმა. ამასთან ერთად აღმოიფხვრება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც, რომელიც ქმნის ზედმეტ შორეულ ტვირთზიდვას.

ამხ. ბეშჩევს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია გამარტივდეს რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დაგეგმვა.

დეპუტატი **გ. ი. რუდი** (მოლდავეთის სსრ), ისევე როგორც სხვა ორატორები, ლაპარაკობს კადრების ზრდაზე ეროვნულ რესპუბლიკებში. მოლდავეთის მრეწველობაში ომის წინ თითქმის არ იყვნენ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები. ახლა ასეთი სპეციალისტი 40 ათასზე მეტი მუშაობს. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებას მოწმობს ასეთი ფაქტი: ომის შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი საწარმოებში თითქმის სამჯერ გადიდდა.

ლაპარაკობს რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს შემუშავებულ სტრუქტურაზე, დეპუტატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი შექმნის შემდეგ მოხერხდება დაახლოებით მესამედით შემცირდეს მმართველობისა და მომარაგების აპარატი. მხარს უჭერს რა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დებულებებს, ორატორი დასასრულ აცხადებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასა და სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნას ეშნება არა მარტო დიდი ეკონომიური, არამედ აგრეთვე პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს ღონისძიებანი ცხადყოფენ, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია მუდამ და განუხრელად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ა. პ. შიტიკოვი** (ხაბაროვსკის მხარე) და **მ. კ. ლაზურენკო** (უკრაინის სსრ).

9 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

## ცენტრალური საქალაქო კომიტეტში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტმა გამოუშვა ფულისა და ნივთების ლატარია „ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალი“ 300 მილიონი მანეთის რაოდენობით. ლატარიის ბილეთების წარმატებით გავრცელებასთან, აგრეთვე პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების, სამხედრო მოსამსახურეების, მუშებისა და მოსამსახურეების ჯგუფების, მოსწავლეებისა და ცალკეული მოქალაქეების მრავალ თხოვნასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა საქალაქო კომიტეტმა დამატებით გამოუშვა 300 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები და შესაბამისად ერთიორად გაადიდა ნივთებისა და ფულის მოგებათა რაოდენობა, რომლებიც ლატარიაში გათამაშდება.

ცენტრალურმა საქალაქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ფულისა და ნივთების ლატარიის „ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის“ მოგებათა ტირაჟი მოაწყოს 1957 წლის 23-24 ივნისს ქალაქ მოსკოვში. (საკდესი).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად



თბილისის ქარხანა „დაზგის“ სარემონტო-მექანიკური საამქროს მოწინავე ზეინკალი გ. ალიმბარაშვილი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ყოველთვიურ საწარმოო დავალებას 210 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: საამქროს ოსტატი ა. გოგეშვილი (მარცხნივ) ზეინკალ გ. ალიმბარაშვილს აცნობს შესაკეთებელი ჩარხის კინემატიკურ სქემას, რომლის მიხედვით აწყობენ მას.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ჩაის ფაბრიკები სეზონს მომზადებული ხვდებიან

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონს რაიონის ფაბრიკები მომზადებული ხვდებიან. ჯვარის ჩაის ფაბრიკაში დროულად შეაკეთეს როლერები, სახმობი აგრეგატები და სხვა მანქანა-დანადგარები. რეკონსტრუქცია გაუკეთდა დამხარისხებელ საამქროს. ფაბრიკის ქვედა სართულში, ინჟინერ მარდალეიშვილის სისტემის აგრეგატთან მოეწყო საარაციო განყოფილება. აქ დროულად დამზადეს სატრანსპორტო და საფერმენტაციო ყუთები.

ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე ჭალა-ფახულანისა და წალენჯიხის პირველი და მეორე ფაბრიკები. მუშები და სპეციალისტები, რომლებიც ჩაბმული არიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძვიან იმისათვის, რომ წელს გამოუშვან საუკეთესო ხარისხის ჩაის მზა პროდუქცია.

## შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროდან მიღებულია ცნობა, რომ ამ სამინისტროს კოლეგიამ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1957 წლის პირველ კვარტალში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და აღნიშნეს რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივის წარმატებითი მუშაობა, მიაკუთვნეს მას სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეცემენტეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა განამტკიცონ მოპოვებული მიღწევები, შეინარჩუნონ გარდამავალი წითელი დროშა.

## ორთქლმავალშემკეთებლები ვალდებულებებს ანაღდებენ

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა წელს განვლილ ოთხ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,6 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია კაპიტალური შეკეთებიდან 13 ორთქლმავალი, საშუალო შეკეთებიდან — 1.

ისე ნაყოფიერად, როგორც წელს მუშაობს, ამ ქარხნის კოლექტივს ჯერ არ უმუშავია. ეს იმის შედეგია, რომ ქარხნის უკლებლივ ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ფართოდ ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, იყენებენ ადგილობრივ რესურსებს და პროგრესულ ტექნოლოგიას. ყოველივე ამან გამოიწვია შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდა.

წელს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა ლითონსამსხმელო საამქროში გამართეს ახალი 5-ტონიანი ხიდური ამწე. სამჭედლო საამქროში დადგეს და ამოუშვეს 3-ტონიანი ურო, სავაგონო საამქროში კი ამოუშვეს ხის გასაკრიალებელი დანადგარი.

ქარხნის საამქროებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა ორთქლმავალ-ამწყობი საამქროს კოლექტივი (უფროსი პ. მატიუხოვი), რომელმაც ოთხი თვის გეგმა 113 პროცენტით გაანაღდა.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ხარატები ა. მარგველაშვილი, გ. ზარიძე, კ. ფომინი და ვ. ჭელაშვილი, მჭედლები ნ. კოჩიევი, მ. ალეინიკოვი და მექვაბე გ. შარიფაშვილი.

## სატვირთო მანქანების მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის

ყოველთვის, როცა თბილისს ავტომობილშემკეთებელი ქარხნის წინ ჩაივლით, ნახავთ მწყობრიდან გამოსული, სარემონტოდ ჩამოყენებული სატვირთო მანქანების გრძელ რიგს. ზოგი ცალ მხარეს გადაზნექილა, ზოგისთვის თვლები დაუხსნიათ, ზოგისთვის ძარა... აქ შეხვდებით რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩამოსულ მძღოლებს, რომლებიც ზოგჯერ კვირეების განმავლობაში ელოდებიან მანქანების ჩაბარებას შესაკეთებლად.

მაგრამ ქარხანაში ყველა ავტომანქანას როდი იღებენ შესაკეთებლად. ზოგი ავტომანქანა ისეა „გაძარცული“, რომ ზედ შესაკეთებელიც ზღარაფერია დატოვებული. მძღოლები დაეძებენ დეტალებს, ერთმანეთს უცვლიან, ყიდულობენ, ყიდიან და, თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს როგორღაც მაინც ახერხებენ მწყობრიდან გამოსული ავტომანქანის შესაკეთებლად ჩაბარებას ქარხნისათვის.

რატომ მოჰყავთ ქარხანაში განადგურებული, შესაკეთებლადაც კი უვარგისი ავტომანქანები; რა იწვევს ავტომანქანების გაუვარგისებას? — ამას იწვევს ავტოსატრანსპორტო მეურნეობებში მანქანების ექსპლოატაციის საქმის მოუწესრიგებლობა, ავტომანქანისადმი, როგორც სახალხო ქონებისადმი, გაუფრთხილებლობა.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ კარგი ღონისძიება განახორციელა. ავტოსატრანსპორტო მეურნეობების წარმომადგენლებთან ერთად მოიწვია ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქარხნის მიერ შეკეთებული ავტომანქანების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვას. ავტომემკეთებლებმა თავიანთი პრეტენზიები წაუყენეს მეურნეობების მუშაკებს, ხოლო მათ თავის მხრივ ქარხნისაგან მრითხოვეს უფრო ქმედითი ზომების მიღება ავტომანქანათა შეკეთების ხარისხის ამაღლებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ავტომობილშემკეთებლებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გადაწყვიტეს წლიური გეგმა ერთი თვით ადრე განაღდონ. საამისოდ ქარხანაში წლის დასაწყისიდანვე შეუდგნენ წინასწარ მოფიქრებული და დამუშავებული ღონისძიებების განხორციელებას. შეუდგნენ საამქროების მუშაობის ზუსტად დაგეგმვას, დაიწყეს თვითეული საამქროსათვის ყოველდღიური კონკრეტული დავალებების (განრიგის) მიცემა, გაძლიერეს საწარმოო უბნებისადმი, ცალკე საწარმოო რგოლებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

ავტომანქანათა შესაკეთებლად დასაშლელ საამქროში ამოუშვეს მაღალი წარმადობის სარეცხი მანქანა, რომელმაც გააადვილა ავტომობილის დეტალების რეცხვა, აამაღლა ამ ოპერაციაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება. წინათ საამქროთა შორის საავტომობილო დეტალების გადატანა-გადმოტანა ხელის ურიკებით ხდებოდა. ეს დიდ დროს და მრავალი ადამიანის ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. ახლა ამ სამუშაოს სამი მექანიკური ტრანსპორტიორი ასრულებს.

ამწყობ საამქროში გამართეს ჰორიზონტალური ტიპის ბიდრავლიკური წნეხი, განახორციელეს მთელი რიგი სხვა შრომითი ოპერაციების მექანიზაცია. ამან სამჯერ შეამცირა წნეხვის დრო. ამასთან ქარხანაში მოაწყეს და ამუშავეს ახალი ბოვი, გაამჯობესეს თუჯის დეტალების ჩამოსხმის ტექნოლოგია. შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განსახორციელებლად მთელი ეს ახალი ტექნიკა ავტომემკეთებლებმა თავიანთი ძალებით გამართეს.

აქტიურად ეხმარებიან საწარმოს კოლექტივს მუშაობის გარდაქმნასა და ახალი ტექნიკის დანერგვაში ადგილობრივი რაციონალიზატორები. მათ მარტო პირველ კვარტალში 44 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. აქედან 27 წინადადება უკვე დაინერგა, რაც საწარმოს წლის ბოლოსათვის 98.644 მანეთ ეკონომიას მისცემს.

დიდი ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. გასული წლის ბოლოს საექსპლოატაციოდ გადასცეს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მალე მობინადრეთა შესასახლებლად მზად იქნება 23-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა მიდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში შეძლო გეგმის გადამეტებით გამოშვება კაპიტალურად შეკეთებული 91 ავტომანქანა. თბილისელმა ავტომობილშემკეთებლებმა 1 მაისისათვის სახელმწიფოს 796.900 მანეთი ზეგეგმით მოგება მისცეს.

ზ. ჩილაჩავა.

ფელეტონი

# ჭორაობის მასწავლებლები

ამ დიდმა საცხოვრებელმა სახლმა როგორღაც ერთბაშად დაკარგა ჩვეულებრივი სახე და დაემსგავსა რკინიგზის ვაგზალს, როგორიც იგი არის ხოლმე, როცა ათი წუთის შემდეგ შორს მიმავალი მატარებელი უნდა გავიდეს.

სახლისაკენ ფაციფუცით მიიჩქაროდნენ ადამიანები, მიჰქონდათ ბოხჩები, ფუთები, ჩემოდნები. ხშირხშირად მოდიოდნენ ტაქსები და მოჰყავდათ დატვირთული მგზავრები.

სადარბაზო კარში, კიბეზე, ბინების კარებში რომ ეჯახებოდნენ ერთმანეთს, მობინადრეები არათუ ბოდიშს არ იხდიდნენ, როგორც ჩვეულება მოითხოვს, არც კი მიესალმებოდნენ ერთმანეთს, მხოლოდ რაღაც გაუგებარ სიტყვებს ლუღლუღებდნენ:

— სამ საათს ვიდექი რიგში, ექვსი საბანი შემხვდა, ძლივს ვსუნთქავ.

— პუშკინის ქუჩაზე იტაკის ელექტროსაწმენდებია! ორ-ორს იძლევიან! სამი დავიჭირე!

— რა იღბალი მომივიდა! თითქმის ურიგოდ! ორი ველოსიპედი...

ყველაფრის მოთავე კი კალისტრატე გახდა, ყველასაგან პატივცემული მობინადრე, მესამე სართულზე მეხუთე ბინაში რომ ცხოვრობს. დილით დაინახეს, ტელევიზორი რომ აეკიდნა და ძლივსძლივობით ადიოდა კიბეზე. ყველამ იცოდა, რომ კალისტრატეს ბინაში შესანიშნავი ტელევიზორი ედგა. არც შეიძლებოდა ეს არა სცოდნოდათ მეზობლებს, რადგან საღამოობით ტელეგადაცემათა საყურებლად მის ბინაში თავს იყრიდნენ თითქმის მთელი სახლის მცხოვრებნი. მოდიოდნენ თავიანთი სკამებით, საკვარძლებით, ტაბურეტებით.

— როგორ, მეორე ტელევიზორი იყიდეთ?

— რასაც ყიდდნენ, ის ვიყიდე! ერთი საათი რომ დამეგვიანა, ესეც აღარ შემესვდებოდა.

— რა აზრით ბრძანებთ? სტუმრებისათვის ცალკე, სამზარეულოში ხომ არ აპირებთ მეორე ტელევიზორის დადგმას?

კალისტრატემ ტვირთი კიბის საფეხურზე დაუშვა, სული მოითქვა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და უპასუხა:

— ჩანს, ჩვენს სახლს მუდამ კუდში ჩანჩალი უწერია. ჭკვიანი ხალხი ფულს არ იჩერებს, ნივთებს იძენს, ჩვენს სახლში კი ყურს არავინ იბერტყავს.

თანამოსაუბრემ გაოცებით შეხედა მეზობელს და შეეკითხა:

— რა ფულს, რა ნივთებს?

— ყოველგვარს, ადამიანო! თქვენ მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილხართ? მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს...

თანამოსაუბრეს სუნთქვა შეეკრა. და თუმცა დანამდვილებით იცოდა, რომ დღეისათვის მთელ ქალაქს აწუხებს ერთი ფიქრი, რომ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთან მომავალ შეხვედრაში არ დამარცხდნენ თბილისის დინამოელები, მაგრამ გული აუტოკდა.

უკვე დიდიხანია ცნობილია, რომ ჭორსა და ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ორი-სამი დღეც არ გავა, რომ მოცლილი ჭორიკანების მიერ დარხეული ხმები იხრჩოლებს, იხრჩოლებს და ჩაქრება ფეხით გათელილი ნამწვივით, მხოლოდ ცოტა ხნით მყრალ სუნს დატოვებს.

მაგრამ ცოტაც რომ იხრჩოლოს ნამწვმა, იგი აფუჭებს ჰაერს, უშლის ადამიანებს სუნთქვას, სისუფთავის მოყვარულ ყოველ ადამიანს აღუძრავს სურვილს გადააგდოს გზიდან ის, რაც გზაზე კი არა, სანაგვე ორმოში უნდა იყოს.

მაგრამ ამ სახლში ერთბაშად როდი განთავისუფლდნენ კალისტრატეს მიერ მოტანილი ჭორის ბუღისაგან.

კალისტრატეს მეზობელს ბაგრატს ჭორმა თავზარი დასცა. იგი შევარდა თავის ოთახში, გამოიღო კარადიდან ფული, თან გამოაყოლა მისი სტუდენტი ქალიშვილის მიერ შეგროვებული სამასი მანეთი და სწრაფად გაექანა მაღაზიებისაკენ.

თვითონაც არ ახსოვდა, სად რა იყიდა. მხოლოდ მაშინ, როცა სახლში დაბრუნდა და დივანზე დაიწყო ნაჩქარევად ნაყიდი ნივთები, შეძლო დაენახა ელვისებური ოპერაციის შედეგები. ბაგრატის სახლს შეემატა სამი ელექტროუთო, ცხენის ცალუღი, ორი ელექტრომრიცხველი და პატეფონის ათობით ფირფიტა, თუმცა ბაგრატს ოჯახში არც პატეფონი იყო, არც რადიოლა.

ცუდი დღე დაადგა მეხუთე სართულის მცხოვრებ შოთას. ჭორი შოთას ყურში ჩაეწვეთა საათის სამზე, როცა ყველა მაღაზია დაკეტილი იყო შესვენებისათვის. მან ჯერ დაიპირა ერთი საათი მოეცადა კართან, მაგრამ უცებ გამვლელ ბებრუხანასაგან გაიგონა განსაცვიფრებელი ახალი ამბავი:

— ტყუილად დგეხართ აქ, შვილო. ვაჭრობა გათავდა. სულ გათავდა. მაღაზიები ერთ კვირაზე ადრე არ გაიღება.

ერთმეორეზე უხამსი ჭორები არბეწინებდნენ შოთას მანამდე, სანამ საბურთალოს ბაზარზე არ აღმოჩნდა. აქ იგი გააჩერა კაცმა, რომელსაც რაღაც ვეება კონსტრუქცია ედგა გვერდით.

— იყიდე, მეგობარო, სანამ გვიან არ არის! იაფად მოგცემ. ამაზე უკეთესს რას ნახავ ფულის დასაბანდებლად. გინდ ოქრო გქონია, გინდ ეს. არასოდეს არ დაეკარგება ფასი, სანამ ხალხს კბილები აქვს.

შოთა ძალიან არ შევაჭრებია, და უკვე ერთი საათის შემდეგ საზიდრით მიიტანა სახლში ბორმანქანა, რომლის არსებობა დღემდე არც იცოდა, რადგან არაჩვეულებრივად საღი კბილები ჰქონდა.

იაგორი დიდხანს ცდილობდა არ აჰყოლოდა სხვებს, მაგრამ უცებ შუბლზე ხელი შემოიკრა და წამოიძახა:

— ერიჰა! დავიღუპე! ახლა მომაგონდა, რომ შემნახველ სალაროში ათი ათასი მანეთი მაქვს!..

— იაგორ სტეპანოვიჩ, თქვენ ყველაზე ბედნიერი კაცი ყოფილხართ ჩვენს სახლში! ამაზე საიმედო რა უნდა იყოს, მაგრამ იაგორს ლაპარაკისათვის აღარ ეცალა. მან ტროლეიბუსსაც აღარ მოუცადა და კოჭლობით გაიქცა შემნახველ სალაროში. იქ მდგომი რიგი მისწიმოსწია ყვირილით:

— გამატარეთ, მე შეტანა კი არ მინდა, პირიქით!

როცა როგორც იყო მიაღწია მოლარის ფანჯარას, ორი სიტყვა ძლივსღა წაილუღლუღა:

— გამოტანა! დანაწილება!

მერე ცოტა დამშვიდდა და განმარტა:

— მინდა გამოვიტანო ფული და ხუთი წიგნაკზე გავანაწილო. გამოწერეთ წიგნაკები ჩემზე, ჩემს სიდედრზე, ჩემს და კატოზე, დისწულ ვერაზე და ბიცოლა სოფიოზე, თვითეულზე ორ-ორი ათასი.

გვიან ღამემდე შფოთავდა სახლი. მისი მცხოვრებლები გატაცებული იყვნენ რთული კომერციული ოპერაციებით. ყველა გარბოდ-გამორბოდა.

ეს ადამიანები ადვილად წამოეგნენ თავიანთი ჭორიკანა მეზობლების ანკესზე. მათ დაიჯერეს უხამსი ჭორები და ზიანი მიაყენეს თავიანთ ბიუჯეტს იმით, რომ იყიდეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ.

ორიოდე დღის შემდეგ გონს რომ მოვიდნენ, ამ გულუბრყვილო ადამიანებს დაენანათ ფული, რომელიც დახარჯეს ისეთი ნივთების ყიდვაზე, რაც მათ სრულიად არა სჭირდებოდათ. მხოლოდ მაშინ, თუმცა უკვე გვიან, მიხვდნენ, რომ ფული ეკარგება სწორედ იმას, ვინც უჯერებს ბოროტ ხმებს, პროვოკაციულ ჭორებს.

ბ. ს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „გვესაჭიროება სახელმძღვანელოები“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში სტუდენტი ი. ხაზარაძე აღნიშნავდა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები ცალკეულ დისციპლინებში უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით, ხოლო ზოგიერთი სახელმძღვანელო მოძველდა და გადამუშავება-შესწორებას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. სარიშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ წერილის ავტორის მიერ გამოთქმული შენიშვნები სავსებით სამართლიანია. ჩვენ, — აღნიშნავს პროფ. ი. სარიშვილი, — ყველაფერი რიგზე არა გვაქვს სათანადო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოცემის მხრივ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს საქმე ჩვენში საგრძნობლად მოიკოჭლებს. სოფლის მეურნეობის მეცნიერების მთელ რიგ დისციპლინებში ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება არც სახელმძღვანელო და არც დამხმარე ლიტერატურა. ამავე დროს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტთა კონტინგენტის ძირითადი შემადგენლობა ჩამოსულია რაიონებიდან და რუსულ ენას იმდენად ვერ არის დაუფლებული, რომ დამოუკიდებლად და საფუძვლიანად შეითვისოს ამ ენაზე გამოცემული სპეციალური ლიტერატურა. ამიტომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ რესპუბლიკაში თვალსაჩინოდ გაიზარდა და იზრდება დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა რიცხვი.

საქართველოს გამომცემლობანი — სახელგამი და „ტექნიკა და შრომა“ დიდი დატვირთვის გამო ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემას სათანადო მასშტაბით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობას არამტკიცე მატერიალური და ფინანსური ბაზის გამო შესაძლებლობა არა აქვს გამოსცეს როგორც დიდტირაჟიანი, ისე მცირეტირაჟიანი წიგნები და დააკმაყოფილოს ამ მხრივ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნილება. ამჟამად გამომცემლობის პორტფელშია ქართველი ავტორების ათიოდე ორიგინალური სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დისციპლინებში, მაგრამ იგი მოკლებულია მათი გამოცემის საშუალებას.

ინსტიტუტის დირექციამ, — დასძენს პროფ. ი. სარიშვილი, — არაერთხელ აღძრა ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხი ინსტიტუტის გამომცემლობისათვის მცირეტირაჟიანი სახელმძღვანელოების გამოსაცემად საჭირო დოტაციის გამოყოფის შესახებ. ეს დიდად წასწევდა წინ გამომცემლობის მუშაობას და ბევრ ახალ წიგნს შესძენდა ჩვენს სტუდენტობას, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება დღემდე ვერ მოხერხდა.

რედაქცია მოელის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს სათანადო ღონისძიებებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

# დიდი ქართველი მეცნიერი

## აკაკი შანიძის დაბადების 70 და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო

დღეს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობა აღნიშნავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ა. შანიძის იუბილეს — დაბადების 70 და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს.

ა. შანიძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი ენათმეცნიერია. იგი 120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის (მათ შორის რამდენიმე წიგნის) და 60-მდე საჟურნალო-საგაზეთო სტატიის ავტორია. დიდია მისი დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის, ჩვენი ენის წინაშე. მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა, რომლებშიც ავტორის დიდი ნიჭი, ღრმა ცოდნა, ფართო განათლება და უჩვეულო ენერგია იგრძნობა, ფართოდ გაუთქვეს სახელი ა. შანიძეს. მის გამოკვლევებს კარგად იცნობენ ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარები საზღვარგარეთაც.

აკაკი გაბრიელის-ძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს სოფელ ნოღაში (გურია). 1909 წელს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე (სომხურ-ქართული სიტყვიერების დარგზე). 1913 წელს დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. 1915 წელს ჩაბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები და შეუდგა თავისი პირველი ვრცელი გამოკვლევის — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ — ბეჭდვას (ბეჭდავდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია რუსულ ენაზე, მაგრამ ბეჭდვა შეფერხდა და წიგნი არ გამოქვეყნებულა. შემდეგ, 1920 წელს, ეს გამოკვლევა დაიბეჭდა თბილისში).

1918 წლიდან ა. შანიძე მუშაობს თბილისის უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონ არის. აქ იგი კითხულობდა ლექციებს თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსში, ძველ ქართულ ენაში, ქართულ დიალექტოლოგიაში, სვანურ ენაში, ძველ სომხურ ენაში, არაბული ენის გრამატიკაში, ქართველური ენების შედარებით გრამატიკაში და ქართული ენის ისტორიაში. 1920 წელს ზემოხსენებული ნაშრომის საჯაროდ დაცვის შემდეგ (ეს იყო თბილისის უნივერსიტეტში და საერთოდ საქართველოში დაცული პირველი დისერტაცია) მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება.

ენათმეცნიერული კვლევა-ძიება ა. შანიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. გიმნაზიაში სწავლის დროს, სტუდენტობის პერიოდში და მომდევნო წლებში იგი სწავლობს რამდენიმე ევროპულ, აღმოსავლურ და კავკასიურ ენას, რომელთა ცოდნას მარჯვედ იყენებს საენათმეცნიერო კვლევისას. მისი ნაშრომები ეხება ქართულს და სხვა ქართველურ ენებს — სვანურსა და მეგრულ-ჭანურს, სომხურ ენას და ზოგიერთ კავკასიურ ენას. მისი კვლევის მთავარი ობიექტი კი თხუმეტესწავლის საქმეშიც. მან რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს, 1937 წელს აღადგინა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, 1956 წელს გამოსცა მისი ხელმძღვანელობით შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია. მას დიდი მუშაობა აქვს გაწეული აგრეთვე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთ თავმჯდომარეს და პოემის საიუბილეო გამოცემის ერთ-ერთ რედაქტორს (კ. კეკელიძესთან ერთად).

ა. შანიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს („ქართული ენის გრამატიკა“) მიხედვით ისწავლება ქართული ენა საშუალო სკოლაში 1939 წლიდან. მანვე შეადგინა (ა. ბარამიძესა და ილ. აბულაძესთან ერთად) აგრეთვე სახელმძღვანელო — „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, რომელიც პირველად 1934 წელს გამოიცა.

თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ა. შანიძემ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობა აღზარდა. მის მოწაფეთა შორის ბევრი ცნობილი მეცნიერია.

ა. შანიძე მოხსენებებით გამოსულა თბილისში, ქუთაისში, ერევანსა და ბაქოში, მოსკოვსა და ლენინგრადში გამართულ სამეცნიერო სესიებზე და სხდომებზე, წაუკითხავს მოხსენებები ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესზე ოქსფორდში 1928 წელს და აღმოსავლეთმცოდნეთა სრულიად უკრაინის II ყრილობაზე ხარკოვში 1929 წელს.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ა. შანიძე ასრულებდა სხვადასხვა თანამდებობას: იყო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი, პროფესორთა საბჭოს მდივანი, რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ქართული ენის სექტორის გამგე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი და თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1919 წლიდან განაგებდა ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945 წლიდან, კათედრის გაყოფის შემდეგ, ძველი ქართული ენის კათედრის გამგეა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. შანიძის მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლით.

45 წლის დაუღალავი შრომით ბევრი რამ გააკეთა ა. შანიძემ მეცნიერებისა და მშობლიური ქვეყნისათვის. ახლა, 70 წლის ასაკში, იგი კვლავ ჰაბუკური ენერგიით განაგრძობს დაუცხრომელ მუშაობას და მომავალშიც ბევრი ახალი ნაშრომით გაამდიდრებს მეცნიერებას.

**დოცენტი ლ. კიკნაძე.**

# სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ანჯაფარიძის საიუბილეო საღამო

7 მაისს საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის დაბადების 60 წლისთავი და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. დადიანმა. მოჰსენება ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი გზის შესახებ გააკეთა პოეტმა ს. ჩიქოვანმა. შესანიშნავმა ტრაგიკულმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული საბჭოთა თეატრის შექმნასა და განვითარებაში. მისი შემოქმედება უყვართ, მას აფასებენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ვ. ანჯაფარიძე, რომელიც მუშაობს თბილისს კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში მისი დაარსების დღიდან როგორც მსახიობი, რეჟისორი და პედაგოგი, საბჭოთა ხელოვნებისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს გვიჩვენებს.

საღამოზე იუბილარს მიესალმნენ ლატვიის სსრ თეატრალური საზოგადოებისა და სცენის მუშაკთა სახელით ლატვიის სახალხო არტისტი ა. ლუდინ-პაბიანი, აზერბაიჯანის სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და კულტურის სამინისტროს სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. დაუდოვი, სომხეთის თეატრებისა და კულტურის მუშაკთა სახელით სომხეთის სსრ სახალხო არტისტი დ. მალიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის სახელით პროფესორი ა. ბოჭორიშვილი, საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით პოეტი ი. ნონეშვილი, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სახელით საქართველოს სახალხო მხატვარი უნა ჯაფარიძე, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის სახელით პროფესორი კ. მეღვინეთ-უხუცესი და სხვები.

ვ. ანჯაფარიძის სახელზე მრავალი მისალოცი დეპეშა მოვიდა.

ვ. ანჯაფარიძის მონაწილეობით აჩვენეს მარჯანიშვილის თეატრის დადგმების ა. დიუმას „მარგარიტა გოტიეს“ და ა. კასონის „ხეები ზეზეულად კვდებიან“ ნაწყვეტები.

ვ. ანჯაფარიძემ მხურვალე მადლობა გადაიხადა მისთვის აღმოჩენილი ყურადღების გამო და თქვა, რომ კომუნისტური პარტიის ზრუნვა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს აღაფრთოვანებს ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის. (საქდესი).

# ტექნიკას არ აფასებენ, უგულებელყოფენ თესვის პროგრესულ წესებს

★

**„კომუნისტის“ რეიდი**

★

წალკის რაიონში კოლმეურნეობებსა და მტს-ებს საგაზაფხულოდ დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება უხდებათ. რაიონის ეს თავისებურება მოითხოვს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში მექანიზაციის ფართოდ განხორციელებას. შარშან კოლმეურნეობებმა ეს ვერ გაითვალისწინეს და ამის გამო მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები გაჭიანურდა. მაგალითად, გასული წლის 25 აპრილისათვის რაიონში მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 35 პროცენტით, კარტოფილის დარგვისა კი — 5 პროცენტით. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კოლმეურნეობებმა მარცვლეულისა და კარტოფილის მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. გაითვალისწინეს რა გასული წლის მწარე გაკვეთილი, წელს რაიონში გაზაფხულს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. 5 მაისისათვის მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვის გეგმა 94,1 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ზოგიერთ კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს. პირველ რიგში აღსანიშნავია დაბა მოლოტოვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა და კარტოფილის რგვა.

1955 წელს ამ კოლმეურნეობაში პირველად დაითესა სიმინდი სამარცვლედ. კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე 24 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. მას შემდეგ არტელი ყოველწლიურად ზრდის სიმინდის ნათეს ფართობს. მის აგროტექნიკასაც კოლმეურნეები კარგად დაეუფლნენ. წელს 29 ჰექტარ სიმინდს დათესავენ კარგად გაწოყიერებულ ზრალად მოხნულ ნიადაგზე. სიმინდის თესვის გეგმა კოლმეურნეობაში 60 ჰექტარი კარტოფილი უნდა დაირგოს. აქ მუშაობს ბრიგადის ერთი სარგავი აგრეგატი, რომლის ტრაქტორისტები ს. მანასიანი და მ. სიმონიანი კარტოფილის რგვის ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მაგრამ ასე როდია სხვა სატრაქტორო ბრიგადებსა და კოლმეურნეობებში. სოფელ აშკალის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება. აქ ყოველწლიურად 160-170 ჰექტარ კარტოფილს რგავენ. კოლმეურნეობა ერთი ჰექტარი კარტოფილის დარგვაზე, მოვლა-პატრონობასა და ამოღებაზე 150 შრომადღეს ხარჯავს, მტს-ს კი ამავე სამუშაოთა შესრულება 40-50 შრომადღე უჯდება. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადას (ხელმძღვანელი ა. თერჭანიანი) კარტოფილის მანქანით რგვის ნება არ დართო. კარტოფილის მექანიზებული წესით რგვას რაიონის არც სხვა კოლმეურნეობები სცემენ პატივს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ავრანლოს მტს-ში არსებული 10 სარგავი მანქანიდან 26 აპრილამდე მხოლოდ ერთი მუშაობდა, დანარჩენი კი მტს-ის ეზოში ან მინდვრად უმოქმედოდ იდგა. სარგავი მანქანების გამოყენების მხრივ მდგომარეობა წალკის მტს-შიც ვერ არის სახარბიელო.

რით აიხსნება ასეთი ანტიმექანიზატორული განწყობილება? ამ კითხვაზე გულახდილი პასუხი გაგვცა აშკალის კოლმეურნეობის აგრონომმა ზ. მჭედლიშვილმა. — მექანიზატორები იმდენად ცუდად რგავენ და ისე ცუდად უვლიან კარტოფილს, რომ ხელით დარგულ-დამუშავებულ ფართობებთან შედარებით დაბალი მოსავალი მოჰყავთ. მექანიზატორების მიერ დამუშავებულ კარტოფილის ნათესებს ხელმეორედ დამუშავება სჭირდება. ეს ზრდის შრომის დანახარჯებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ რაიონში სრულიად დაივიწყეს კარტოფილის რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. არც ერთ კოლმეურნეობაში ამ წესით წელს ერთი ჰექტარიც არ დაურგავთ. წალკისა და ავრანლოს მტს-ები ამ პროგრესული მეთოდის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ.

ზოგიერთი კოლმეურნეობა დაბალხარისხოვან სარგავ მასალას იყენებს. ჩვენ ვიყავით სოფელ ხადიკის საკოლმეურნეო მინდვრებში. 30 ჰექტარი საკარტოფილე ნაკვეთი კარგად იყო დამუშავებული. ყოველ ჰექტარზე შეტანილია 25-30 ტონა ნაკელი. მაგრამ მაღალი მოსავლის მისაღებად მარტო ეს როდი კმარა. კოლმეურნეები დაბალხარისხოვან მასალას რგავდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. დანაჩერი და მტს-ის აგრონომი ა. ანდრიანოვი ამ საქმეს თავიდანვე უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ, არ გამონახეს კარგი სარგავი მასალა. ამიტომ არის, რომ წლების განმავლობაში ხადიკის კოლმეურნეობაში კარტოფილის მეტად დაბალ მოსავალს იღებენ. ხადიკის კოლმეურნეობა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის.

რაიონში ძირითადად საგაზაფხულო კულტურებს თესავენ, საგაზაფხულო კულტურებს კი მზრალად მოხნული ნაკვეთები ესაჭიროება. ორივე მტს-მა შარშან მზრალად ხვნის გეგმა ვერ შეასრულა. 13.347 ჰექტარის ნაცვლად 10.146 ჰექტარი მოხნეს. ამიტომ ზოგიერთი კოლმეურნეობა სიმინდსა და კარტოფილს გაზაფხულზე ნახნავში თესავს. ხშირად კოლმეურნეობაში თესვაზე ან რგვაზე მომუშავე კოლმეურნეები დღეობით ცდებიან იმის გამო, რომ მტს-ები ვერ უზრუნველყოფენ ნაკვეთების მომზადებას თესვისა და რგვისათვის.

წალკის მტს-მა დაბა წალკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მზრალად ხვნის გეგმა ვერ შეასრულა. ამის გამო სამართლიანი საყვედური გამოთქვა მემინდვრეობის ბრიგადირმა ლ. მანამშვილმა. 13 დღეა, რაც მარცვლეული კულტურების თესვა დავამთავრეთ, მას შემდეგ მტს-ის მიზეზით 3.4 ჰექტარი კარტოფილი ძლივს დავრგეთო, — განაცხადა მან.

რაიონში ჩამორჩება სიმინდის, ბალახების, ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების თესვა.

წალკაში ახლა თესვისათვის ხელსაყრელი ამინდებია. ყოველი წუთი ძვირფასია. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველა საჭირო ღონისძიება უნდა განახორციელონ საგაზაფხულო სამუშაოებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, თესვის სწრაფად დასამთავრებლად.

**რეიდის მონაწილენი: პ. კალაიჩევი**, რაიონულ გაზეთ „ლენინსკი პუტის“ რედაქტორი; **ო. ფულოვი**, საქართველოს ალკკ წალკის რაიკომის პირველი მდივანი; **კ. ნიკოლოვი**, რაიონულ გაზეთ „ლენინსკი პუტის“ რედაქციის მდივანი, **რ. დავითური**, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

# საშუალო წვეულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1957 წლის 1 მაისისათვის

(ციფრებით თვითეულ ძროხაზე)

| დაკავებული ადგილი | რაიონები | 1957 წ. 1/V | 1956 წ. 1/V | + მატება — კლება | რაიკომის მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმისა | 1.008 | 825 | + 183 | ს. ეხაძე, ა. ანანიძე, |
| 2 | ქობულეთისა | 716 | 586 | + 130 | ფ. დუმბაძე, ლ. წულუკიძე |
| 3 | ბოგდანოვკისა | 682 | 516 | + 166 | ს. ტულჩინი, კ. დურგარიანი |
| 4 | წითელწყაროსი | 678 | 616 | + 62 | ი. ბერძენი, დ. ნატროშვილი |
| 5 | საგარეჯოსი | 677 | 626 | + 51 | გ. ნადაშვილი, ს. ფანოზიშვილი |
| 6 | გურჯაანისა | 605 | 553 | + 52 | ა. დავითაშვილი, ვ. შავგულიძე |
| 7 | გარეუბნისა | 596 | 613 | — 17 | დ. გელაშვილი, ა. კორახაშვილი |
| 8 | მახარაძისა | 546 | 418 | + 128 | შ. ქანუყვაძე, დ. საბაშვილი |
| 9 | დმანისისა | 533 | 399 | + 134 | მ. ყულიევი, ა. აგაევი |
| 10 | ბოლნისისა | 511 | 427 | + 84 | შ. ქუტიძე, ა. მამედოვი |
| 11 | მცხეთისა | 505 | 458 | + 47 | გ. სეხნიაშვილი, ზ. მირზიაშვილი |
| 12 | წალკისა | 494 | 395 | + 99 | ა. მაკაროვი, ლ. მელტონიანი |
| 13 | მარნეულისა | 468 | 446 | + 22 | ნ. ჯიბლაძე, დ. მამედოვი |
| 14 | თეთრი წყაროსი | 456 | 460 | — 4 | მ. მაისურაძე, ი. ჩომახაშვილი |
| 15 | გარდაბნისა | 447 | 372 | + 75 | გ. დეფდარიანი, ნ. გაჯიევი |
| 16 | თელავისა | 416 | 443 | — 27 | ზ. გელდიაშვილი, ა. ახათაშვილი |
| 17 | ახალქალაქისა | 411 | 294 | + 117 | ა. ბლრციანი, გ. ბაღდასაროვი |
| 18 | ყვარლისა | 398 | 430 | — 32 | ა. ავაზაშვილი, მ. დავითაშვილი |
| 19 | ლაგოდეხისა | 397 | 421 | — 24 | პ. ბაქრაძე, ლ. ჩიკვაიძე |
| 20 | გორისა | 388 | 374 | + 14 | ი. რთველიაშვილი, ზ. თავზარაშვილი |
| 21 | ჩოხატაურისა | 380 | 317 | + 63 | ა. გობრონიძე, გ. მამალაძე |
| 22 | სიღნაღისა | 380 | 356 | + 24 | ზ. ბიძინაშვილი, ი. მესხიშვილი |
| 23 | დუშეთისა | 370 | 349 | + 21 | ვ. ბურდული, შ. მწითური |
| 24 | სტალინირისა | 367 | 351 | + 16 | ვ. სანაკოევი, გ. ჯუსოევი |
| 25 | ახმეტისა | 366 | 353 | + 13 | ზ. უზუნაშვილი, გ. ბიძინაშვილი |
| 26 | კაჭრეთისა | 352 | 363 | — 11 | ვ. რევაზიშვილი, ა. ასანიშვილი |
| 27 | თერჯოლისა | 349 | 387 | — 38 | პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე |
| 28 | წყალტუბოსი | 344 | 352 | — 8 | ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე |
| 29 | აბაშისა | 336 | 324 | + 12 | მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა |
| 30 | მესტიისა | 336 | 370 | — 34 | ს. ჭკადუა, ს. ჩარკვიანი |
| 31 | ქუთაისისა | 336 | 328 | + 8 | ა. ჩიქოვანი, ლ. ტაბიძე |
| 32 | ზნაურისა | 328 | 268 | + 60 | ნ. ცხოვრებოვი, ი. კოკოევი |
| 33 | ქარელისა | 324 | 326 | — 2 | ვ. გელაშვილი, ი. ნოზაძე |
| 34 | ორჯონიკიძისა | 322 | 374 | — 52 | მ. სამხარაძე, ე. აბაშიძე |
| 35 | გაგრისა | 309 | 303 | + 6 | კ. კინწურაშვილი, ვ. მიხაილენკო |
| 36 | ხაშურისა | 296 | 273 | + 23 | დ. ქვლივიძე, მ. ჯიბუტი |
| 37 | ბორჯომისა | 295 | 205 | + 90 | ჯ. ლომაშვილი, ა. მაისურაძე |
| 38 | ასპინძისა | 289 | 206 | + 83 | ვ. კავაძე, ლ. ისაკაძე |
| 39 | ზუგდიდისა | 287 | 271 | + 16 | მ. ღვინჯილია, ვ. ესართია |
| 40 | სამტრედიისა | 282 | 324 | — 42 | ნ. ფანცულაია, ნ. ასათიანი |
| 41 | ტყიბულისა | 278 | 251 | + 27 | კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი |
| 42 | ონისა | 272 | 304 | — 32 | შ. რეხვიაშვილი, ბ. მინდელი |
| 43 | თიანეთისა | 265 | 250 | + 15 | დ. გონჯილაშვილი, ნ. მგელიაშვილი |
| 44 | ოჩამჩირისა | 263 | 229 | + 34 | ს. ალანია, ტ. სოსელია |
| 45 | ლენინგორისა | 259 | 248 | + 11 | ი. უზნაძე, ა. დრიაევი |
| 46 | ზესტაფონისა | 259 | 313 | — 54 | შ. ხიდაშელი, გ. არეკვაძე |
| 47 | კასპისა | 258 | 260 | — 2 | გ. კეჩხუაშვილი, ა. ბასიაშვილი |
| 48 | ლანჩხუთისა | 253 | 302 | — 49 | დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია |
| 49 | გეგეჭკორისა | 252 | 296 | — 44 | კ. ხუბულავა, ჯ. შეროზია |
| 50 | ყაზბეგისა | 244 | 240 | + 4 | ა. შადური, პ. გოგიშვილი |
| 51 | ახალციხისა | 244 | 207 | + 37 | კ. კაპანაძე, მ. ბაღათურია |
| 52 | ამბროლაურისა | 243 | 234 | + 9 | შ. კახიძე, ვ. დავითულიანი |
| 53 | ცხაკაიისი | 238 | 197 | + 41 | ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია |
| 54 | ჯავისა | 238 | 246 | — 8 | პ. ხარებოვი, ს. ჯიოევი |
| 55 | საჩხერისა | 232 | 249 | — 17 | ნ. კობახიძე, დ. ღვინიანიძე |
| 56 | გალისა | 231 | 250 | — 19 | დ. გოგოხია, ხ. ტუფურია |
| 57 | ცაგერისა | 231 | 294 | — 63 | გ. ჩაჩხიანი, ვ. ჭაკვეტაძე |
| 58 | ვანისა | 225 | 262 | — 37 | გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე |
| 59 | ჭიათურისა | 199 | 247 | — 48 | პ. აბესაძე, გ. ლომინაძე |
| 60 | ხობისა | 198 | 229 | — 31 | ა. წურწუმია, ს. ნასარაია |
| 61 | ქედისა | 195 | 234 | — 39 | ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე |
| 62 | ხულოსი | 187 | 166 | + 21 | ა. ქონიაძე, ს. ბერიძე |
| 63 | ადიგენისა | 180 | 168 | + 12 | ა. ხვედელიანი, ლ. ოღლიშვილი |
| 64 | მაიაკოვსკისა | 179 | 204 | — 25 | ა. ტაბატაძე, კ. ჭოხონელიძე |
| 65 | წალენჯიხისა | 179 | 180 | — 1 | ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია |
| 66 | წულუკიძისა | 173 | 226 | — 53 | ს. ლეფავა, მ. აბზიანიძე |
| 67 | ლენტეხისა | 170 | 204 | — 34 | ი. ხაბულიანი, კ. გაზდელიანი |
| 68 | გუდაუთისა | 170 | 146 | + 24 | დ. ხვარცკია, კ. გერია |
| 69 | გულრიფშისა | 167 | 184 | — 17 | ლ. ელეჭჩიანი, შ. ბოკერია |
| 70 | შუახევისა | 162 | 163 | — 1 | რ. სირაძე, ვ. წულუკიძე |
| 71 | სოხუმისა | 161 | 185 | — 24 | გ. ჭაკია, კ. ცანავა |
| 72 | ჩხოროწყუსი | 152 | 162 | — 10 | მ. ცანავა, შ. ხუნტუა |

# ვალდებულება გაანაღდეს

**წულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.).** სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის მ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა და წარმატებით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

მათხოჯელმა კოლმეურნეებმა რაიონში პირველმა დაამთავრეს სიმინდის თესვა. გეგმით გათვალისწინებული 165 ჰექტარის ნაცვლად დათესეს 167 ჰექტარი, მათ შორის კვადრატულ-ბუდობრივად — 20 ჰექტარი. გეგმის გადამეტებით დათესავენ 12 ჰექტარ სიმინდს.

თესვა მთავრდება სოფ. წითელი ვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის და ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ს. თებიძე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაზე.

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

★

# ჩაის კრეფა

**ოჩამჩირე. (საკ. კორ.).** მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 6.860 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.600 ტონისა. ამ პირობის გასახარებლად გაჩაღებულია ენერგიული მუშაობა. უკვე დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა. სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს უნდა მოკრიფოს 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი. კრეფას პირველნი შეუდგნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ბ. ლიპარტია, შ. ვეკუა, მ. მანია, ა. შენგელია, ნ. ბიბლაია, გ. შუბითიძე და გ. ჯომიდავა ხელმძღვანელობენ. კრეფის დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ კოლმეურნეები ცაცა ქარდავა, ქსენია ქარაია, ძაბა ფანცულაია, ნათელა, ქსენია და ლენა ვეკუები.

კოლმეურნეობამ მარტო პირველ დღეს კოჩარის ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 1.020 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი.

# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობა

## დათესილია 299.289 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

რესპუბლიკაში 5 მაისისათვის სულ დათესილი იყო 299.289 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გეგმა შესრულებულია 68 პროცენტით. მზესუმზირის თესვის დავალება შესრულებულია 104,8 პროცენტით. ეს კულტურა კვადრატულ-ბუდობრივად დაითესა 8.215 ჰექტარი, რაც მთელი ნათესი ფართობის ნახევარზე მეტს შეადგენს. კარტოფილის თესვის დავალება შესრულებულია 70,3 პროცენტით, ბოსტნეული კულტურებისა — 47,3, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებისა — 49,4, საკვები ძირხვენებისა და საკვები ბაღჩეული კულტურებისა — 69,6 პროცენტით.

## სიმინდის თესვა

გეგმით სიმინდი სამარცვლედ უნდა დაითესოს 237,124 ჰექტარი. 5 მაისისათვის დათესილი იყო 156.972 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 26,061 ჰექტარი. ახალციხის რაიონში სიმინდის თესვის დავალება შესრულებულია 95,8 პროცენტით, ადიგენის — 98,7, ხაშურის — 87,9 ქარელის — 88,9, გორის — 97,9, კასპის — 105,7, დუშეთის — 90,9, თეთრი წყაროს — 124,1, თიანეთის — 68,8, გურჯაანის — 101,3, კაჭრეთის — 88,7, სიღნაღის — 116,4, წითელწყაროს — 100,9, თელავის — 106,5, ახმეტის — 100,4, ყვარლის 91,2, ლაგოდეხის — 98,9, მცხეთის — 100, გარდაბნის — 97, მარნეულის — 105,9, ბოლნისის — 105,4, საგარეჯოს — 106,7, დმანისის — 102,8, აბაშის — 43,7, ცხაკაიის — 52,1, გეგეჭკორის — 57,4, ზუგდიდის — 56,6, ხობის — 63,2, ჭიათურის — 58,8, წყალტუბოს — 61,7, სამტრედიის — 34,2, წულუკიძის — 63,5, ვანის — 55,4, ზესტაფონის — 61,3, თერჯოლის — 44,5, ჭიათურის — 67,8, საჩხერის — 59,9, ორჯონიკიძის რაიონში — 40,2, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 91,7, აფხაზეთის ასსრ-ში — 39,9, აჭარის ასსრ-ში — 50,6 პროცენტით.

# რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

თბილისის ოფიცრის საოლქო სახლში გაიმართა რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა საქართველოს ა. ს. პოპოვის სახელობის რადიოტექნიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ მ. ინაურმა.

მოხსენება რადიოს დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ კ. ქავთარაძემ. მომხსენებელმა ილაპარაკა რადიოტექნიკის ფართოდ გამოყენებაზე ჩვენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში. იგი დაწვრილებით შეეხო რადიოკავშირგაბმულობის საშუალებათა, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებას საქართველოს სს რესპუბლიკაში. ამჟამად რესპუბლიკაში არის 250 ათასზე მეტი რადიოწერტილი — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს. სულ უფრო ფართოდ ინერგება საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში ტელევიზია. 1956 წლის დამლევს თბილისში მწყობრში ჩადგა სატელევიზიო სადგური. თბილისს გარდა სატელევიზიო გადაცემებს იღებენ რესპუბლიკის ბევრ რაიონში.

კრების დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

# უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის მუშაობაზე

**ვარშავა, 8 მაისი.** (საკდესი). „ტრიბუნა ლიუდუმ", „გლოს პრა